სარჩელი
ადმინისტრაციულ საქმეზე

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას

მხოლოდ სასამართლოს მოხმარებისათვის

09.02.24
შტამპის ადგილი
875259
2093,0977,05.

მოსარჩელე: *SeniSvna-1*

გურამ გაფრინდაშვილი	[redacted]	ქ. ჭიათურა, სოფელი ხალიფაური
სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი	ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი) *SeniSvna-2*

ალტერნატიული მისამართი *SeniSvna-3*	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

მოსარჩელის წარმომადგენელი: *SeniSvna-4*

ა(ა)იპ "სამოქალაქო აქტივობების ცენტრი"	427716625	თბილისი, ბეჟან (ჟანი) კალანდაძის ქუჩა N3, კორპუსი ა, ბინა 4
თავმჯდომარე გელა მთივლიშვილი	[redacted]	
სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი	პირადი ნომერი	ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

		[redacted]		mtivlishvili@gmail.com
სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

მოპასუხე: *SeniSvna-5*

1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო		თბილისი, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N1
2. სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო		თბილისი, დავთ აღმაშენებლის გამზირი N150
3. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო		თბილისი, მარშალ გელოვანის N34

სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი	ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი) *SeniSvna-6*

ალტერნატიული მისამართი		სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი		
	1. (+995 32) 299 11 11 2. (+995 32) 295 0031 3. (+995 32) 2 47 01			1. ministry@moesd.gov.ge 2. info@nam.gov.ge 3. info@mepa.gov.ge
სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

საკონტაქტო პირი: *SeniSvna-7*

სახელი, გვარი	სახლის ტელ.	მობილური	ელექტრონული ფოსტა

SeniSvna-8

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge
სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge

სასამართლოში დასაბარებელ პირთა სია

სახით:

დასაბარებელი პირის სტატუსი *SeniSvna-9*

სახელი გვარი	პირადი ნომერი	ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

SeniSvna-10

დავის საგანი

SeniSvna-11

ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის ნაწილობრივ ბათილად ცნობა.

ქვემოთ მიუთითეთ თქვენს კანონიერ ინტერესზე, თუკი გსურს აღიარებითი სარჩელის აღძვრა.

SeniSvna-12

დავის არსის მოკლე მიმოხილვა

SeniSvna-13

მოსარჩელე გურამ გაფრინდაშვილი ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხალიფაურში ცხოვრობს. 2023 წლის ივლისში მან შეიტყო, რომ სოფელში იმყოფებოდნენ მანგანუმის მომპოვებელი კომპანიის წარმომადგენლები და მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ სოფლის ტერიტორიაზე, უშუალოდ გურამ გაფრინდაშვილის საცხოვრებელი სახლის მიმდებარედ, საცხოვრებელ სახლებთან, მათ შორის, ეზოებში მანგანუმის მოპოვებასთან დაკავშირებით. კომპანიის წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ გააჩნდათ უფლება, სოფელ ხალიფაურში, საცხოვრებელი სახლებთან ეწარმოებინათ ღია კარიერული წესით წიაღისეულის მოპოვებითი სამუშაოები.

გურამ გაფრინდაშვილი დაინტერესდა, ნამდვილად იყო თუ არა შესაძლებელი, სახელმწიფოს გაეცა ლიცენზია მადნის უშუალოდ მისი სოფლის/უბნის ტერიტორიაზე, საცხოვრებელი სახლების ეზოებში მოპოვებაზე.

2023 წლის 15 ივლისს, მოსარჩელემ განცხადების მომზადების მიზნით, დახმარებისთვის მომართა ა(ა)იპ „სამოქალაქო აქტივობების ცენტრს“. 2023 წლის 26 ივლისს განცხადებით მივმართეთ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს“ და მოვითხოვეთ ინფორმაცია, რომლითაც გაირკვეოდა, ნამდვილად შესაძლებელი იყო თუ არა მოსარჩელის საცხოვრებელ სახლთან მოპოვებითი სამუშაოების წარმოება.

კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა შესაძლო ვადის გასვლის მიუხედავად, მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია არ გადმოგვცემია.

დროის აღნიშნულ მონაკვეთში სამუშაოები არ დაწყებულა. 2023 წლის დეკემბერში, გურამ გაფრინდაშვილისათვის, კვლავ გახდა ცნობილი, მანგანუმის მოპოვებაზე მომუშავე კომპანიები დარწმუნებულები არიან, რომ დასახლებული ტერიტორიის ქვეშ (უბანი, სადაც გურამ გაფრინდაშვილი ცხოვრობს) დიდი ოდენობით მადანია დარჩენილი და სურთ აღნიშნული მადნის მოპოვება და კომპანიებმა დაიწყეს გარკვეული მოსამზადებელი ქმედებების განხორციელება.

ვინაიდან არსებული და დაგეგმილი ღია კარიერები საფრთხეს უქმნის მომჩივნის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს, არსებობს რეალური საფრთხე, რომ ღია კარიერული წესით მოპოვება გაგრძელდეს მომჩივნის საცხოვრებელი სახლის მიმდებარე ტერიტორიაზეც, მომჩივანს ერთადერთი გამოსავალი დარჩა - სამართლებრივი დავის დაწყება.

2023 წლის 07 დეკემბერს, მოსარჩელემ ადმინისტრაციული საჩივრით (წერილი N147) მიმართა საქართველოს მთავრობას - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინააღმდეგ და მოითხოვა გაცემული ლიცენზიის ნაწილობრივ ბათილად ცნობა. 2023 წლის 15 დეკემბერს, საქართველოს მთავრობამ, N GOV 3 23 00037930 წერილით საჩივარი გადააგზავნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (შემდგომში - "სამინისტრო").

სამინისტრომ 2023 წლის 22 დეკემბრის N04/11930 წერილით გვაცნობა, რომ საჩივარი შესაბამისობაში უნდა მოგვეყვანა საქართველოს კანონმდებლობასთან - კერძოდ, მიგვეთითებინა გასაჩივრებული აქტის გამომცემი ორგანო და რეკვიზიტები.

მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ არ მოგვაწოდა მოთხოვნილი დოკუმენტაცია, საჯარო წყაროებიდან (სასამართლო გადაწყვეტილებიდან) დავაზუსტეთ სადავო აქტის რეკვიზიტები და 2024 წლის 08 იანვარს სამინისტროს წარუდგინეთ დაზუსტებული საჩივარი (წერილი N02) და განცხადება (წერილი N01). განცხადებით სამინისტროს მოვთხოვეთ, საჩივარი განსახილველად საქართველოს მთავრობისთვის დაებრუნებინა.

სამინისტროს 2024 წლის 23 იანვრის N04/341 წერილით გვეცნობა, რომ რადგანაც სადავოდ იყო გამხდარი მინისტრის ბრძანება, ჩვენი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად უნდა მიგვემართა სასამართლოსთვის.

დავის ფაქტობრივი გარემოებები

1. ფაქტობრივი გარემოება

გურამ გაფრინდაშვილი ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხალიფაურში ცხოვრობს. 2023 წლის ივლისში მან შეიტყო, რომ სოფელში იმყოფებოდნენ მანგანუმის მომპოვებელი კომპანიის წარმომადგენლები და მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ სოფლის ტერიტორიაზე, უშუალოდ გურამ გაფრინდაშვილის საცხოვრებელი სახლის მიმდებარედ, საცხოვრებელ სახლებთან, მათ შორის, ეზოებში მანგანუმის მოპოვებასთან დაკავშირებით. კომპანიის წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ მათ გააჩნდათ უფლება სოფელ ხალიფაურში, საცხოვრებელ სახლებთან ეწარმოებინათ ღია კარიერული წესით წიაღისეულის მოპოვებითი სამუშაოები.

მტკიცებულება:

ა. მხარის ახსნა-განმარტება.

2. ფაქტობრივი გარემოება

სოფელ ხალიფაურში გურამ გაფრინდაშვილის საცხოვრებელი სახლიდან 400 – 500 მეტრში (დასახლებული უბნიდან დაშორებით) უკვე მიმდინარეობდა მადნის ღია კარიერული წესით მოპოვება, რაც იწვევს საცხოვრებელი გარემოს გაუარესებას (ჰაერისა და წყლის დაბინძურება, სამანქანო გზებისა და ნიადაგის დაზიანება, სხვადასხვა სახიფათო ზონის ჩამოყალიბება), მომჩივანს ვერ წარმოედგინა, რომ შესაძლებელი იყო, ღია კარიერული წესით მოპოვება გაგრძელებულიყო და ახალი კარიერების შექმნა დაწყებულიყო უშუალოდ მის საცხოვრებელ ზონაში, სახლების ეზოებსა და მიმდებარე ტერიტორიაზე.

მტკიცებულება:

ა. მხარის ახსნა-განმარტება.

3. ფაქტობრივი გარემოება

გურამ გაფრინდაშვილმა დახმარებისთვის მომართა ა(ა)იპ „სამოქალაქო აქტივობების ცენტრს“. 2023 წლის 26 ივლისს, განცხადებით მივმართეთ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს“ და მოვითხოვეთ შემდეგი საჯარო ინფორმაცია:

1. ექცევა თუ არა ჭიათურის მუნიციპალიტეტში მდებარე სოფელი ხალიფაური შპს „ჯორჯიან მანგანეზის“ სალიცენზიო არეალში;

2. შპს „ჯორჯიან მანგანეზს“, ლიცენზიის პირობების შესაბამისად, შეუძლია თუ არა სოფელ ხალიფაურის დასახლებულ პუნქტებში მადნის ღია კარიერული წესით მოპოვება;

3. შპს „ჯორჯიან მანგანეზს“, დასახლებულ პუნქტებში ღია კარიერული წესით მადნის მოპოვების დაწყებამდე, ევალება თუ არა გარემოზე ზემოქმედებასთან დაკავშირებით რაიმე სახის კვლევის/შეფასების ჩატარება და სახელმწიფო სტრუქტურებთან შეთანხმება;

4. შპს „ჯორჯიან მანგანეზზე“ გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია და მასთან (ლიცენზიის გაცემასთან და სარგებლობასთან) დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების მასალები სრულად.

მტკიცებულება:

ა. განცხადება (წერილი) N111 (26.07.2023) - დანართი 1.;

4. ფაქტობრივი გარემოება
კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა შესაძლო ვადის გასვლის მიუხედავად, მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია არ გადმოგვცემია.

მტკიცებულება:
ა. მხარის ახსნა-განმარტება.

5. ფაქტობრივი გარემოება
2023 წლის დეკემბერში, გურამ გაფრინდაშვილისათვის კვლავ გახდა ცნობილი, რომ მანგანუმის მოპოვებაზე მომუშავე კომპანიები დარწმუნებულები არიან, დასახლებულ ტერიტორიის ქვეშ (უბანი, სადაც გურამ გაფრინდაშვილი ცხოვრობს) დიდი ოდენობით მადანია დარჩენილი და სურთ აღნიშნული მადნის მოპოვება და კომპანიებმა დაიწყეს გარკვეული მოსამზადებელი ქმედებების განხორციელება.

ვინაიდან არსებული და დაგეგმილი ღია კარიერები საფრთხეს უქმნის მომჩივნის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს, არსებობს რეალური საფრთხე, რომ ღია კარიერული წესით მოპოვება გაგრძელდეს მომჩივნის საცხოვრებელი სახლის მიმდებარე ტერიტორიაზეც, მომჩივანს ერთადერთი გამოსავალი დარჩა - სამართლებრივი დავის მეშვეობით მაინც შეძლოს სალიცენზიო დოკუმენტაციის მოპოვება, გასაჩივრება და კონსტიტუციით დაცული უფლებების დაცვა.

მტკიცებულება:
ა. მხარის ახსნა-განმარტება;

6. ფაქტობრივი გარემოება
მას შემდეგ, რაც სსიპ „მინერალური რესურსების ეროვნულმა სააგენტომ“ არც განცხადებაზე გვიპასუხა და არც მოთხოვნილი ინფორმაცია/დოკუმენტაცია მოგვაწოდა, გადავწყვიტეთ, აღნიშნული ლიცენზია მოგვეძებნა საჯარო წყაროებში. აღსანიშნავია, რომ საჯაროდ „ჯორჯიან მანგანეზის“ მიერ ჭიათურაში მადნის მოპოვებასთან დაკავშირებით, უშუალოდ ლიცენზია და მასში ასახული ინფორმაცია არ იძებნება (ჩვენს მიერ ვერ იქნა მოძიებული).

რამდენადაც საგაზეთო სტატიებიდან ირკვევა, 2006 წელს, ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 40 წლის ვადით გაიცა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია. დღეს, აღნიშნულ ლიცენზიას შპს „ჯორჯიან მანგანეზი“ ფლობს. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ლიცენზიის ფარგლებში მანგანუმის მოპოვება მიმდინარეობს. საქმიანობა ადგილობრივ გარემოს მნიშვნელოვან, მოცულობით და ხშირად შეუქცევად ზიანს აყენებს.

კომპანიამ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია უკიდურესად დერეგულირებული კანონმდებლობის საფუძველზე მიიღო.

მტკიცებულება:
ა. მხარის ახსნა-განმარტება.

7. ფაქტობრივი გარემოება
შპს „ჯორჯიან მანგანეზი“ 2006 წლიდან კრიტიკულად არღვევს წიაღისეულის მოპოვებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებსა და სამთო-მოპოვებით წესებს. 2013-2017 წლებში, კომპანიის მიერ გარემოსთვის მიყენებული ზიანი 416 მილიონ ლარად შეფასდა.

ეკოლოგიური კატასტროფის თავიდან აცილების საბაბით, 2017 წელს, სახელმწიფომ კომპანიაში სპეციალური მმართველი შეიყვანა.

საწარმოში სპეციალური მმართველობის რეჟიმის შემოღების შემდგომ მდგომარეობა როგორც მდინარის, ასევე ნიადაგის დაბინძურებისა და დეგრადაციის კუთხით არათუ გამოსწორდა, არამედ რადიკალურად დამძიმდა, რაც ადგილზე ფაქტობრივად ეკოლოგიური კატასტროფის მდგომარეობის ტოლფას სიტუაციას ქმნის.

სპეციალურმა მმართველმა მნიშვნელოვნად გაზარდა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების მასშტაბი, თუმცა, მადნის ამოღების სისწრაფის გაზრდამ და ღია კარიერების გაჩენამ, პირდაპირპროპორციულად გაზარდა ადგილობრივ ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე მიყენებული ზიანის მოცულობა. დროებითი მმართველობითი რეჟიმის შემოღებიდან 6 წლის შემდეგ, კომპანიის საქმიანობის შედეგად შეუქცევადი დაზიანებისა და განადგურების წინაშე დადგა არაერთი სოფელი - რგანი, მღვიმევი, დარკვეთი, თაბაგრები, ხალიფაური და სხვა.

მტკიცებულება:
ა. მხარის ახსნა-განმარტება.

8. ფაქტობრივი გარემოება
სპეციალური მმართველობითი რეჟიმის შემოღების შემდგომ (2017 წელი), სახელმწიფოს მიერ საერთოდ არ ხდება გარემოზე მიყენებული ზიანის კვლევა და შეფასება.

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებას უდიდესი გავლენა აქვს გარემოზე. ფართომასშტაბიან მოპოვებით საქმიანობას, ჩვეულებრივ, უკავშირდება დიდ ტერიტორიებზე ტყეების გაჩეხვა და ნიადაგის ნაყოფიერი ფენის განადგურება. ეს საგრძნობლად ცვლის ლანდშაფტს და გავლენას ახდენს ბიომრავალფეროვნებაზე. ხდება მიწისქვეშა, ზედაპირული წყლების და ნიადაგის დაბინძურება. იცვლება სოციალური გარემო. შეცვლილი სოციალური და ბუნებრივი გარემო პირობები ზემოქმედებას ახდენს ადგილობრივ მოსახლეობაზე. იქმნება კონფლიქტური სიტუაციები, მაგალითად, როდესაც მოპოვებითი საქმიანობა იკავებს სოფლის მეურნეობისთვის გამოსადეგ ტერიტორიას, ან ხდება სასმელი და სარწყავი წყლის დაბინძურება და სხვა.

მიმდინარე კარიერული სამუშაოები ხელს უწყობს მეწყრული მოვლენების განვითარებას და საფრთხეს უქმნის ადგილობრივი მცხოვრებლების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, მათ შორის, ბავშვების, რომლებსაც ხალიფაურში დაახლოებით 3 კილომეტრის გავლა ფეხით უწევთ, რომ სკოლაში მისვლა მოახერხონ.

ხელოვნურად მოწყობილი საფეხმავლო ბილიკები სამრეწველო ნარჩენებზე გადის, სადაც, განსაკუთრებით მაღალი ტენიანობისას, ხანგრძლივ უამინდობაში, მძაფრი სუნი დგას. სავარაუდოდ, ნიადაგის ქვედა ფენების ზემოთ მოხვედრის შემდეგ, მძიმე მეტალების სულფიდები თანდათანობით განიცდიან ჰიდროლიზს და გამოიყოფა გოგირდწყალბადი, რომელიც აღნიშნულ სუნს განაპირობებს.

დასახლებულ პუნქტებში, საცხოვრებელი სახლებიდან რამდენიმე მეტრში მიმდებარე ტერიტორიებზე, შპს „ჯორჯიან მანგანეზის“ მიერ მიტოვებული უზარმაზარი თხრილები წყლით არის სავსე. ე.წ. კარიერების სიახლოვეს ხშირია მიწის ჩაქცევები. დღის ბნელ მონაკვეთში ტერიტორია არ არის განათებული. სავარაუდოდ, ასეთ შემთხვევას ემსხვერპლა 2020 წელს, სოფელ დარკვეთში, 30 წლის გიორგი ღუღუნიშვილი.

მტკიცებულება:
ა. მხარის ახსნა-განმარტება.

9. ფაქტობრივი გარემოება
საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის მიერ საქართველოში გარემოს ტყვიით დაბინძურების შეფასებისათვის ჩატარებული თემატური მოკვლევის ანგარიშის თანახმად, ჭიათურის მუნიციპალიტეტში ე. ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგებით დადგინდა, რომ მადნის მომპოვებელი საბადოებიდან 30 კმ-მდე დაშორებულ სოფლებშიც კი, ატმოსფერული ჰაერი მნიშვნელოვნად ბინძურდება. მუნიციპალიტეტში წელიწადის უმეტეს პერიოდში გაბატონებული აღმოსავლეთის ქარები საწარმოო მტვრის დიდ მანძილზე გადატანას უწყობს ხელს. ამავე ანგარიშის თანახმად, ნიადაგებში მძიმე ლითონების შემცველობიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია მანგანუმი და დარიშხანი, რომელთა კონცენტრაცია ზღვრულად დასაშვებ ნორმებს აღემატება. ასევე, ჭიათურის მუნიციპალიტეტის ნიადაგებში ტყვიის კონცენტრაციის კვლევის 2019 წლის მონაცემების მიხედვით, სოფელ ხალიფაურში ტყვიის კონცენტრაციაც აღემატება ზღვრულად დასაშვებ ნორმას.

მანგანუმის იონები მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებენ ადამიანის ორგანიზმებში, მაგრამ დიდი რაოდენობებით მანგანუმმა შეიძლება გამოიწვიოს მოწამვლა და შეუქცევადი ნევროლოგიური დაზიანება. მანგანუმის მტვრისა და ორთქლის ზემოქმედება, თუნდაც მცირე დროის განმავლობაში, საზიანოა ჯანმრთელობისათვის. მანგანუმი განსაკუთრებულ რისკს წარმოადგენს ბავშვებისთვის. მანგანუმით მოწამვლა უკავშირდება მოტორული ფუნქციის დარღვევას და ნერვულ დარღვევებს

მტკიცებულება:
ა. მხარის ახსნა-განმარტება.
ბ. „სახელმძღვანელო მანგანუმის მოპოვების ზემოქმედების ქვეშ მყოფი მოსახლეობისათვის“, მწვანე ალტერნატივა (2010) - დანართი 9;
გ. „გარემოს ტყვიით დაბინძურების შეფასება საქართველოში“ საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის მოკვლევის ანგარიში, (2020)- დანართი 10.

10. ფაქტობრივი გარემოება
ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხალიფაურში არსებული და მაღალი ალბათობით, დაგეგმილი ღია კარიერული წესით მოპოვება საფრთხეს უქმნის გურამ გაფრინდაშვილის ჯანმრთელობას, სიცოცხლეს, ქონებას და ზღუდავს თავისუფლად გადაადგილებასა და ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლებას, რაც გამოიხატება შემდეგში:

- რადგანაც მოპოვება საცხოვრებელი სახლის მახლობლად მიმდინარეობს და გამოიყენება მძიმე ტექნიკა, ადგილი აქვს გაუსაძლის ხმაურს და ვიბრაციას;

- მადნის მოპოვებისას და ტრანსპორტირებისას წარმოშობილი მტვერი, ასევე, უშუალოდ ღია კარიერები, აბინძურებს ჰაერსა და გარემოს.

- სოფლის გარკვეულ მონაკვეთებში პრაქტიკულად არ არსებობს საავტომობილო გზა. ცუდი ამინდისას, ასეთ ადგილებში გადაადგილება ვეღარ ხერხდება, რაც შეუძლებელს ხდის გადაუდებელი სასწრაფო სამედიცინო და სამაშველო სერვისებით სარგებლობას.

- ღია კარიერებისგან ბინძურდება მდინარეები, წყაროები და ჭები;

- მოპოვების შედეგად წარმოქმნილი რელიეფი ქმნის როგორც მეწყრული პროცესების განვითარების, ასევე, წარმოქმნილ ღრმულებში ადამიანების ჩავარდნისა და დასახიჩრების საფრთხეს;

- ღია კარიერული წესით მოპოვებისას სრულად ნადგურდება ნიადაგის ნაყოფიერი ფენა.

ყოველივე ზემოაღნიშნული უკვე აყენებს ზიანს გურამ გაფრინდაშვილის ჯანმრთელობას, ხოლო თუ კომპანია ან მისი კონტრაქტორები გააგრძელებენ მსგავსი ტიპის საქმიანობას უშუალოდ სოფლის ტერიტორიაზე ან/და მომჩივნის საცხოვრებელ სახლთან დაიწყებენ მადნის მოპოვებას, მისთვის შეუძლებელი გახდება მისივე საცხოვრებელ სახლში ცხოვრება, რაც კონსტიტუციით გარანტირებული არაერთი უფლების დარღვევას წარმოადგენს.

მტკიცებულება:
ა. მხარის ახსნა-განმარტება.

11. ფაქტობრივი გარემოება
2023 წლის 07 დეკემბერს, მოსარჩელემ ადმინისტრაციული საჩივრით (წერილი N147) მიმართა საქართველოს მთავრობას - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინააღმდეგ და მოითხოვა შემდეგი - **„ნაწილობრივ ბათილად იქნას ცნობილი შპს "ჯორჯიან მანგანეზზე" სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების შესახებ გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომელიც ითვალისწინებს (შესაძლებელს ხდის) ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხალიფაურში, დასახლებულ ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმის) ღია კარიერული წესით მოპოვებას“.**

2023 წლის 15 დეკემბერს, საქართველოს მთავრობამ წერილით N GOV 3 23 00037930, საჩივარი გადააგზავნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში.

მტკიცებულება:
ა. ადმინისტრაციული საჩივარი (წერილი N147) (07.12.2023) - დანართი 3;
ბ. საქართველოს მთავრობის წერილი N GOV 3 23 00037930 (15.12.2023) - დანართი 4.

12. ფაქტობრივი გარემოება
საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2023 წლის 22 დეკემბრის N04/11930 წერილით გვეცნობა, რომ საჩივარი შესაბამისობაში უნდა მოგვეყვანა საქართველოს კანონმდებლობასთან - კერძოდ, მიგვეთითებინა გასაჩივრებული აქტის გამომცემი ორგანო, რეკვიზიტები და წარგვედგინა გასაჩივრებული აქტი.

მტკიცებულება:

ა. საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს N04/11930 წერილი (22.12.2023) - დანართი 11.

13. ფაქტობრივი გარემოება
მიგვაჩნია, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეს მოთხოვნები იყო უსაფუძვლო და მიზანმიმართული - ხელი შეეშალათ უფლებების დაცვაში. სადავო დოკუმენტაცია სწორედ სამინისტროსა და მის დაქვემდებარებაში არსებულ ორგანოში, სსიპ „მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოშია“ დაცული. საჩივარში მითითებული იყო შუამდგომლობა, რომლითაც ვითხოვდით გასაჩივრებული აქტების გადმოცემას, რაც საჩივრის სათანადოდ დაზუსტების შესაძლებლობას მოგვცემდა. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ჩვენთვის ხარვეზის დადგენის მიზანი სწორედ ის იყო, რომ სათანადოდ ვერ ჩამოგვეყალიბებინა მოთხოვნა, რაც საჩივრის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის საფუძველი გახდებოდა.

მტკიცებულება:
ა. მხარის ახსნა-განმარტება.

14. ფაქტობრივი გარემოება

მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციულმა ორგანოებმა არ მოგვაწოდეს მოთხოვნილი დოკუმენტაცია, ხანგრძლივი ძებნის შედეგად, საჯარო წყაროებიდან (სასამართლო გადაწყვეტილებიდან) დავაზუსტეთ სადავო აქტის რეკვიზიტები და 2024 წლის 08 იანვარს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარვუდგინეთ განცხადება N01 და დაზუსტებული საჩივარი (წერილი N02), რომლითაც მოვითხოვეთ შემდეგი - **"ნაწილობრივ გათილად იქნას ცნობილი საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2006 წლის 19 დეკემბრის ბრძანება N1378 „შპს „ჯორჯიან მანგანეზზე“ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ“ იმ ნაწილში, რომელიც ითვალისწინებს (შესაძლებელს ხდის) ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხალიფაურის დასახლებულ ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმის) ღია კარიერული წესით მოპოვებას"**.

განცხადებით, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მივუთითეთ, რომ **„რადგანაც დაზუსტებული საჩივრით სადავოდ გამხდარი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი - შპს „ჯორჯიან მანგანეზზე“ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია გაცემულია (გამოცემულია) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2006 წლის 19 დეკემბრის N1378 ბრძანებით (ე.ი., ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელი პირის მიერ), აღნიშნული აქტი აუცილებლად უნდა გასაჩივრდეს მის ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში, რომელსაც არ წარმოადგენს არცერთი სამინისტრო, მათ შორის, არც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, თქვენ (სამინისტროს) არ გაქვთ ჩვენი საჩივრის განხილვისა და გადაწყვეტის უფლებამოსილება. ამიტომაც, გთხოვთ, თქვენს ხელთ არსებული მასალები, წარმოდგენილ დაზუსტებულ საჩივართან ერთად, გადაუგზავნოთ უფლებამოსილ (სამინისტროს/მინისტრის ზემდგომ) ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელიც მოცემულ შემთხვევაში არის საქართველოს მთავრობა“**.

მტკიცებულება:
ა. მხარის ახსნა-განმარტება;
ბ. საქმე # ბს-1040(კ-21) - დანართი 5;
გ. ადმინისტრაციული საჩივარი (წერილი N02) (08.01.2024) - დანართი 7;

დ. განცხადება N01 (08.01.2024) - დანართი 6.

15. ფაქტობრივი გარემოება
2024 წლის 23 იანვრის N04/341 წერილით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ გვაცნობა - **"ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში თქვენ სადავოდ ხდით საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2006 წლის 19 დეკემბრის N1378 ბრძანებას, განგიმარტავთ, რომ თქვენი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად შეგიძლიათ მიმართოთ სასამართლოს."**

სამინისტრომ უარი განაცხადა ჩვენი შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე და სადავოდ გამხდარი დოკუმენტაცია (ლიცენზიის) არ გადმოგვცა. სამინისტრომ მოგვიწოდა, აღნიშნულ საკითხზეც მიგვემართა სასამართლოსთვის.

მტკიცებულება:
ა. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წერილი N04/341 (23.01.2024) - დანართი 8.

1. სასარჩელო მოთხოვნა

ნაწილობრივ ბათილად იქნას ცნობილი საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2006 წლის 19 დეკემბრის ბრძანება N1378 „შპს „ჯორჯიან მანგანეზზე“ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ“ იმ ნაწილში, რომელიც ითვალისწინებს (შესაძლებელს ხდის) ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხალიფაურის დასახლებულ ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმის) ღია კარიერული წესით მოპოვებას.

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები, მათ შორის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმების ნორმები და მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტები:

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება მძიმე გავლენას ახდენს გარემოსა და მოსახლეობაზე. სწორედ ამიტომ, განვითარებულ ქვეყნებში, წიაღის მოპოვების სამუშაოები ხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საქმიანობის განხორციელებით გამოწვეული გარემოზე ყველა შესაძლო სახის ზემოქმედების წინასაწარი შეფასება და დასკვნები, რომლებიც ამტკიცებს, რომ გარემოზე ზემოქმედების ხასიათი და მოცულობა მისაღებია და შესაძლებელია დაგეგმილი საქმიანობის გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების პრევენცია ან/და შერბილება.

ჭიათურაში მადნის ღია კარიერული წესით მოპოვება ისე ხდება, რომ სათანადო კვლევები არ არსებობს. იმ ადგილებში, სადაც კომპანია მადანს მოიპოვებს, განხორციელებული სამუშაოების შემდეგ, ტერიტორია საცხოვრებლად გამოუსადეგარია, რაც იწვევს მოსახლეობისა და მომჩივნის კონსტიტუციით გარანტირებული ფუნდამენტური უფლებების უსაფუძვლოდ/გაუმართლებლად შელახვას.

1. ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლება

საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის თანახმად, ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი გარემოთი და საჯარო სივრცით.

საქართველოს კონსტიტუცია პირდაპირ აღიარებს ადამიანის უფლებას ჯანსაღ გარემოზე. ეს უფლება, ერთი მხრივ, გულისხმობს ჯანსაღ გარემოში ცხოვრებისა და ბუნებრივი გარემოთი სარგებლობის უფლებას, ხოლო, მეორე მხრივ, სახელმწიფოს ვალდებულებას, რაციონალურად გამოიყენოს ბუნებრივი რესურსები თანამედროვე და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით, რაც მდგრადი განვითარების ამოსავალი პრინციპია.

საქართველოს კონსტიტუცია გარემოს დაცვის მაღალ სტანდარტს ადგენს. კონსტიტუციის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი ითვალისწინებს სახელმწიფოს ვალდებულებას, იზრუნოს გარემოს დაცვასა და ბუნებრივი რესურსებით რაციონალურ სარგებლობაზე, კონსტიტუციის 29-ე მუხლი კი ადგენს ინდივიდის უფლებას ჯანსაღ გარემოზე.

საკონსტიტუციო სასამართლოს მოსაზრება, რომელიც გამოთქმულია კონსტიტუციის ძველი რედაქციით 37-ე მუხლის დანაწესებზე, თუმცა აქტუალურია ახალი რედაქციით 29-ე მუხლთან მიმართებაშიც. კერძოდ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის №2/1/524 გადაწყვეტილებაში საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი გაჩეჩილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, საკონსტიტუციო სასამართლო მიუთითებს: „საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი. ყველა ვალდებულია გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს“. აღნიშნული კონსტიტუციური დანაწესი, ერთი მხრივ, განამტკიცებს ადამიანის ძირითად უფლებას, ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, ხოლო, მეორე მხრივ, ადგენს, საზოგადოების თითოეული წევრის ვალდებულებას, გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს.

აქედან გამომდინარე, სასამართლომ კონსტიტუციის 37-ე მუხლის შინაარსი უნდა განმარტოს ამ ორი მნიშვნელოვანი კომპონენტის შინაარსის გათვალისწინებით. ამავდროულად, კონსტიტუციური უფლების შინაარსისა და ფარგლების განსაზღვრისას, უნდა ვიხელმძღვანელოთ ადამიანის ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოზე ხელმისაწვდომობის სტანდარტით.

თუ დავუშვებთ, რომ გურამ გაფრინდაშვილის საცხოვრებელი სახლი და მომიჯნავე ახლო ტერიტორიები ექცევა ლიცენზიის არეალში, სადაც დაშვებულია მადნის ღია კარიერული წესით მოპოვება, მაშინ გაცემული ლიცენზიით ილახება საქართველოს კონსტიტუციით გურამ გაფრინდაშვილისათვის მინიჭებული ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში ცხოვრებისა და ბუნებრივი გარემოთი და საჯარო სივრცით თავისუფლად სარგებლობის უფლებები, ვინაიდან გადაწყვეტილებები მიღებული (ლიცენზია გაცემული) იქნა მისი საარსებო გარემოსათვის ზიანის მიყენების რისკების წინასწარი შეფასებისა და მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილების და/ან შემსუბუქებისათვის ღონისძიებების დაგეგმვის გარეშე. ამავდროულად, ამ გადაწყვეტილებების (ლიცენზიის) წინასწარი შეფასების გარეშე მიღებით, სახელმწიფომ უგულებელყო ახლანდელი და მომავალი თაობების წინაშე გარემოს დაცვასა და ბუნებრივი რესურსებით რაციონალურ სარგებლობის უზრუნველსაყოფის შესახებ მისი ვალდებულება.

საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, „საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, კონსტიტუციურ შეთანხმებას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ“. შესაბამისად, ნებისმიერი უფლების განხილვისას ის განხილული უნდა იქნას, როგორც შიდა, ასევე, საერთაშორისო კანონმდებლობის შესაბამისად.

ბევრი საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტი უზრუნველყოფს ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლებების დაცვას. თუმცა, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია გაეროს გენერალური ასამბლეის 2022 წლის 28 ივლისის რეზოლუცია, რომლითაც - სუფთა, ჯანსაღ და მდგრად გარემოზე წვდომის უფლება აღიარებული იქნა ადამიანის ძირითად უფლებად საერთაშორისო დონეზე.

რეზოლუცია გამოირჩევა იმით, რომ ის პირველად პირდაპირ აღიარებს, რომ სუფთა, ჯანსაღ და მდგრად გარემოზე წვდომის უფლება ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი უფლება და სხვა

უფლებებით სათანადოდ სარგებლობის აუცილებელი წინაპირობაა. ამ რეზოლუციით გაერო კიდევ ერთხელ მოუწოდებს სახელმწიფოებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს, ბიზნეს საწარმოებს და ყველა სხვა დაინტერესებულ პირს, გარემოს დაცვისათვის გაატარონ შესაბამისი პოლიტიკა, გააძლიერონ საერთაშორისო თანამშრომლობა, ხელი შეუწყონ შესაბამისი შესაძლებლობების განვითარებას, გაუზიარონ ერთმანეთს საუკეთესო პრაქტიკა, რათა რაც შეიძლება სწრაფად გახდეს სუფთა, ჯანსაღი და მდგრადი გარემო ყველასთვის ხელმისაწვდომი.
ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლება ასევე მოცემულია „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლში, რომლის თანახმად:

მოქალაქეს უფლება აქვს:
ა) ცხოვრობდეს თავისი ჯანმრთელობისათვის უვნებელ და ჯანსაღ გარემოში;
ბ) სარგებლობდეს ბუნებრივი გარემოთი;
გ) მიიღოს სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია თავისი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ;
ვ) მონაწილეობა მიიღოს გარემოს დაცვის სფეროში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების განხილვისა და მიღების პროცესში.

გასაჩივრებული გადაწყვეტილებებით ილახება „გარემოს დაცვის შესახებ“ კანონით გურამ გაფრინდაშვილისათვის მინიჭებული ზემოთ ჩამოთვლილი უფლებები, ვინაიდან გადაწყვეტილებები მიღებულ იქნა მისი საარსებო გარემოსათვის ზიანის მიყენების რისკების წინასწარი შეფასებისა და მისი მონაწილეობის გარეშე.

ჯანსაღ გარემოში ცხოვრება პირდაპირ დაკავშირებულია სიცოცხლის უფლებასთან. სიცოცხლის უფლება განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციის მე-10 მუხლით. ამ მუხლის მიხედვით, სიცოცხლის უფლება ერთ-ერთი ის ძირითადი უფლებაა, რომელიც ადამიანის მიერ მისთვის მინიჭებული სხვა უფლებებით სარგებლობისთვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს (საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი: თავი მე-2 (შპს „პეტიტი“, 2013), 72). მნიშვნელოვანია, განიმარტოს, რომ ეს უფლება მჭიდროდაა დაკავშირებული ადამიანის ღირსებასთან, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლით არის გარანტირებული.

ამ უფლებებს შორის კავშირი გულისხმობს იმას, რომ სახელმწიფოს ეკისრება როგორც ადამიანის სიცოცხლის დაცვის ვალდებულება, ისე მისი ღირსეულად ცხოვრების უზრუნველყოფაც. ამ ვალდებულებების შინაარსი სიღრმისეულად არის განმარტებული „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის“ (მუხლი 6 (1), სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, 1966) ქვეშ, რომელიც მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, როგორც მისი ხელმომწერი მხარისთვის (United Nations Human Rights Committee, General comment No. 36 (2018) on article 6 of the International Covenant on Civil and Political Rights, on the right to life (30 October 2018) UN Doc CCPR/C/GC/36, para 2). კონკრეტულად კი, ამ პაქტის ქვეშ სიცოცხლის უფლების დაცვის ვალდებულება განიმარტება არა ვიწროდ, როგორც სახელმწიფოს ვალდებულება, დაიცვას ადამიანი მესამე პირთა მიერ სიცოცხლის ხელყოფისაგან, არამედ ფართოდ, როგორც სახელმწიფოს ვალდებულება, უზრუნველყოს ადამიანის ღირსეულად ცხოვრებაც. ეს, თავის მხრივ, გულისხმობს სახელმწიფოთა მხრიდან ადამიანის იმ ელემენტარული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, რომლებიც აუცილებელია სიცოცხლისთვის, მაგალითად, როგორიც არის: წვდომა საკვებზე, წყალსა ან თავშესაფარზე (lizabeth Wicks, 'The Meaning of 'Life': Dignity and the Right to Life in International Human Rights Treaties' (2012) 12 Human Rights Law Review 199, ch 5). ამგვარი მიდგომა სიცოცხლისა და

ღირსეულად ცხოვრების უფლებების ერთმანეთთან გადაჯაჭვა - საშუალებას იძლევა, რომ სიცოცხლის უფლების ქვეშ სახელმწიფოს არა მხოლოდ ადამიანის სიკვდილისგან დაცვა, არამედ მისი ეკონომიკური და სოციალური უფლებების უზრუნველყოფა, ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაც ეკისრებოდეს.

შესაბამისად, გარემოსდაცვითი პრობლემები, რომლებიც უშუალოდ უქმნის საფრთხეს ამგვარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, სწორედ ამ უფლებების ქვეშ განიხილება. ამიტომ, საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად, სახელმწიფოს, შესაძლოა, დაეკისროს პასუხისმგებლობა სიცოცხლისა და ღირსეულად ცხოვრების უფლებების დარღვევისთვის იმ შემთხვევაში, თუ დადგინდა, რომ ის არ იღებს სათანადო ზომებს ამ გარემოსდაცვითი პრობლემების თავიდან ასაცილებლად ან მოსაგვარებლად.

როგორც ვხედავთ, ქვეყნის მთავარი კანონი მაღალ სტანდარტებს აწესებს ჯანსაღ გარემოში ცხოვრების კუთხით, თუმცა, აღნიშნული სრულად იგნორირებულია, როდესაც საკითხი სამთო-მოპოვებით საქმიანობას ეხება.

ამის ყველაზე ნათელი მაგალითი სწორედ ჭიათურაა. ღია კარიერული წესით მოპოვება იწვევს როგორც ჰაერისა და წყლის დაბინძურებას, ისე ზიანს აყენებს ბიომრავალფეროვნებას/ეკოსისტემას და შეუძლებელს ხდის ჯანსაღ გარემოში ცხოვრების შესაძლებლობას. მიუხედავად ამისა, ჭიათურაში ამ წესით წიაღის მოპოვება ხორციელდება ყოველგვარი წინასწარი კვლევებისა და შეფასებების გარეშე, რითაც შეუქცევადი და გამოუსწორებელი ზიანი ადგება გარემოსა და მოსახლეობას.

2. სასამართლო პრაქტიკა

უპირველესად აღსანიშნავია, რომ ქართულ სასამართლოს არ გააჩნია რთული გარემოსდაცვითი კატეგორიის დავების განხილვისა და გადაწყვეტის დიდი პრაქტიკა. ქართული სასამართლო პრაქტიკა ამ მიმართულებით მწირია და, ხშირად, მიღებული გადაწყვეტილებები არ გამომდინარეობს მოქმედი საკანონმდებლო მოთხოვნებიდან.

როდესაც ვსაუბრობთ ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლებაზე, აუცილებელია, განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკას, რომელსაც მსგავსი კატეგორიის დავების განხილვისა და გადაწყვეტის საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს. საქართველოსთვის, როგორც კონვენციის ხელმომწერი ქვეყნისთვის, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება სავალდებულო ძალის მატარებელია.

2.1. კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა

ევროპული სასამართლოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებას წარმოადგენს საქმე მურიელ ჰერიკი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (uriel Herrick v. the United Kingdom). აღნიშნული საქმე ნათელი მაგალითია, თუ რამდენად მნიშვნელოვან უფლებად განიხილავს ევროპული სასამართლო ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლებას, რადგანაც ამ გადაწყვეტილებით, სასამართლომ შესაძლებელი გახადა კონვენციით დაცული სხვა უფლებების შეზღუდვა, ჯანსაღი და სათანადო გარემოს დაცვა/შენარჩუნების მიზნით და მიუთითა ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლების კოლექტიური დაცვის აუცილებლობაზე.

ამ საქმესთან დაკავშირებით ევროპულმა კომისიამ დაადგინა, რომ ჯერსის ლანდშაფტური განვითარების და გარემოს დაცვის საკითხები მეტად აქტუალურია ადგილობრივი მოსახლეობისა და ტურისტების ინტერესებიდან გამომდინარე. ამდენად, კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია შეეზღუდა კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებული უფლებები, რათა მოეხდინა გარემოს არაპირდაპირი დაცვა. კომისიამ ჩათვალა, მიუხედავად იმისა, რომ ჯანსაღი გარემოთი სარგებლობის უფლება ინდივიდუალურ უფლებად ითვლება, ის მაინც რჩება კოლექტიური დაცვის ობიექტად და ამდენად, კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული უფლების შეზღუდვა გამართლებულია (D. Garcia San Jose, Environmental Protection and the European Convention on Human Rights, 2005, 9).

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება საქმეზე ლოპეზ ოსტრა ესპანეთის წინააღმდეგ (López Ostra v. Spain) ეხებოდა საჩივარს სუნის, ხმაურისა და კვამლით ჰაერის დაბინძურების შესახებ, რაც გამოწვეული იყო განმცხადებლის საცხოვრებელთან ახლომდებარე ნარჩენების გადამამუშავებელი საამქროს ექსპლუატაციით. განმცხადებლის მტკიცებით, ისინი არღვევდნენ მისი საცხოვრებლის, პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებას და ამით მას დამამცირებლად ეპყრობოდნენ (კონვენციის მე-8 და მე-3 მუხლები). სასამართლომ კონვენციის მე-8 მუხლზე დაყრდნობით აღნიშნა, რომ: „ბუნებრივია, გარემოს მნიშვნელოვანმა დაბინძურებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ინდივიდთა კეთილდღეობაზე და ხელი შეუშალოს მათ, ისარგებლონ მათი საცხოვრებლით, რაც უარყოფით გავლენას მოახდენს მათ პირად და ოჯახურ ცხოვრებაზე, იმის მიუხედავად, მნიშვნელოვანი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა თუ არა მათი ჯანმრთელობა (Lopez Ostra v. Spain, App. No. 16798/90, 20 Eur. H.R. Rep. 277 (1994) (Eur. Ct. H.R.).

საქმეში - ფადეევა რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ (Fadeyeva v. the Russian Federation) - სასამართლომ კვლავ დაადგინა მე-8 მუხლის დარღვევა გარემოს დაბინძურების მიზეზების საფუძველზე. განმცხადებელი ცხოვრობდა ქ. ჩერეპოვეცში, 450 მეტრის მოშორებით ფოლადის კერძო ქარხნიდან. მისი მტკიცებით, ქარხნის მუშაობა უარყოფითად მოქმედებდა გარემოზე და იწვევდა მის დაბინძურებას, კერძოდ, ხმაურს, მტვერს, ტოქსიკურ გამონაბოლქვს, რაც აზიანებდა მის ჯანმრთელობას. განმცხადებლის მტკიცებით, სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო მისი პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცვა მავნე ზემოქმედებისაგან. აღნიშნულ საქმეზე სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელი და დაადგინა, რომ სახელმწიფოს უნდა ეზრუნა მოსარჩელის უფლებების დაცვაზე და მისთვის უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილების მიზნით, სხვა საცხოვრებელი ადგილი გამოეყო ან გარემოს დაბინძურების დონე შეემცირებინა.

მნიშნელოვანი გადაწყვეტილებაა ასევე ანა მარია გერა და სხვები იტალიის წინააღმდეგ (Anna Maria Guerra and others v. Italy). მოსარჩელე აცხადებდა, რომ ხელისუფლების შესაბამისმა სტრუქტურებმა არ შეასრულეს თავისი პოზიტიური ვალდებულება და არ აცნობეს ქიმიური ქარხნის სიახლოვეს მცხოვრებ მოსახლეობას (მათ შორის მოსარჩელეებს) იმ საშიშროების შესახებ, რომელიც ქარხნის ექსპლუატაციას სდევდა თან. მოსახლეობას ასევე არ ეცნობა უსაფრთხოების იმ ზომების შესახებ, რომლებიც მათ უეცარი ავარიის დროს უნდა მიეღოთ, რაც პრეზიდენტის განკარგულებით იყო დამტკიცებული. მოსარჩელე მხარე თვლიდა, რომ სახელმწიფომ ამით დაარღვია კონვენციის მე-10 (გამოხატვის თავისუფლება), მე-8 (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) და მე-2 (სიცოცხლის უფლება) მუხლებით გარანტირებული მათი უფლებები. ადამიანის უფლებათა ევროპული კომისია თავის გადაწყვეტილებაში დასაშვებობის შესახებ დაეყრდნო სახელმწიფოს იმ შესაძლებლობებს და ვალდებულებებს, რომლებიც მას კონვენციის მე-10 მუხლით ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით ეკისრებოდა და საქმე ხმათა

უმრავლესობით დასაშვებად გამოაცხადა. კომისიამ დაადგინა, რომ „ევროპული სამართალი ადასტურებს, რომ საზოგადოებრივი ინფორმაცია არის საზოგადოებრივი კეთილდღეობისა და ჯანმრთელობის დაცვის უმთავრესი იარაღი იმ სიტუაციებში, რომლებიც გარემოს საშიშროებას უქმნის." კომისიამ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ სახელმწიფო, არდამდგარი უარყოფითი შედეგის მიუხედავად, ვალდებული იყო გაეტარებინა ყველა ღონისძიება, რათა საზოგადოებას შეეტყო ქიმიური ქარხნის მავნე ზემოქმედებისა და საშიშროების შემთხვევაში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ. კომისიის აზრით, სახელმწიფო ამ ვალდებულებას მუდმივად არ ასრულებდა, დაწყებული 1988 წლიდან. საბოლოო გადაწყვეტილებაში დასაშვებობის შესახებ კომისიამ დაადგინა, რომ მოსახლეობის ხანგრძლივი არაინფორმირებულობა იმ საშიშროების შესახებ, რომელიც თან სდევს მათი საცხოვრებელი ადგილის სიახლოვეს მდებარე ქიმიური ქარხნის მუშაობას, არის სახელმწიფოს მიერ ჩადენილი დანაშაული, რომელმაც დროულად და დეტალურად არ აცნობა მოსახლეობას მოსალოდნელი საფრთხის შესახებ. თუმცა, საბოლოო განაჩენში სასამართლომ არ დაადასტურა კონვენციის მე-2 და მე-10 მუხლის დარღვევის ფაქტი და გადაწყვეტილება მოსარჩელეების სასიკეთოდ კონვენციის მხოლოდ მე-8 მუხლის დარღვევის დადასტურებით გამოიტანა (Guerra and others v. Italy, Application #14967/89, aseve ix. D. Garcia San Jose, Environmental protection and the European Convention on Human Rights, 2005, p.26.).

2.2. კონვენციის მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლება) დარღვევა

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, კონვენციის მე-2 მუხლი შეიძლება დაირღვეს, როდესაც ქვეყნის ხელისუფლება არ მიაწვდის ინფორმაციას არსებული რისკების თაობაზე იმ ადამიანებს, რომლებიც რისკის ქვეშ იმყოფებიან. სასამართლომ აღიარა სიცოცხლის უფლების ფართო გაგება, რომლის თანახმად, სახელმწიფოს გარკვეულ გარემოებებში ადამიანთა სიცოცხლის დაცვის მიზნით ზომების მიღების პოზიტიური ვალდებულება ეკისრება.

თუ გარემოს დაბინძურება იწვევს სასიკვდილო შედეგს კონკრეტული პირების მიმართ ან შეიცავს სიცოცხლისათვის საფრთხის შემქმნელ რისკს, მაშინ სახელმწიფო შეიძლება პასუხისმგებელი იყოს კონვენციის მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლება) დარღვევისთვისაც (Budayeva and Others vs. Russia, 2008 წლის 20 მარტი.)

იგივე მიდგომა აქვს არჩეული გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტს, რომელმაც საქმეზე EHP (on behalf of Port Hope Environmental Group and Present and future citizens of Port Hope, Ontario, Canada) v Canada ბირთვული ნარჩენების წყალში მაღალი წნევით ჩაშვება მიიჩნია სიცოცხლისათვის საფრთხის შემქმნელად, რაც დიდი რისკის ქვეშ აყენებდა კონკრეტული თემის წევრებს, რომლებიც მახლობლად ცხოვრობდნენ.

ადამიანის უფლებათა ინტერამერიკულმა სასამართლომ კი დასახლებულ პუნქტთან ახლოს ქაროსნული მაგისტრალის მშენებლობა მიიჩნია სიცოცხლის უფლების ხელყოფად (Comunidad Yanomami, Case 7615, Inter-Am. C.H.R., 1985 წლის 5 მარტი).

ანალოგიურად მოიქცა ადამიანისა და ხალხთა უფლებების აფრიკული კომისია, რომელმაც ოგონის მკვიდრი მოსახლეობის საქმე (Fons Coomans, 'The Ogoni Case before The African Commission on Human and Peoples' Rights' (2003) International and Comparative Law Quarterly, 52(3), 749-760.)) განიხილა. კომისიამ თავის გადაწყვეტილებაში განმარტა ადამიანის ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებთან დაკავშირებული ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი და ადამიანის

უფლებების არაერთი დარღვევა დაადგინა. კონკრეტულად, კომისიამ დაადგინა, რომ ნიგერიის მთავრობამ, სხვა უფლებებთან ერთად, დაარღვია ადამიანისა და ხალხთა უფლებების აფრიკული ქარტიის მე-4, (სიცოცხლის უფლება), მე-14 (საკუთრების უფლება), მე-16 (ჯანმრთელობის უფლება), მე-18(1) (ოჯახის უფლებები), 24-ე (განვითარებისთვის ხელსაყრელ, დამაკმაყოფილებელ გარემოზე უფლება) მუხლები.

2.3. საქმე „ჯუღელი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“

საქართველოსთვის მნიშნელოვანია ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმეზე „ჯუღელი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ (ჯუღელი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ JUGHELI AND OTHERS V. GEORGIA № 38342/05; 13.07.2017), რომელშიც სასამართლომ საქართველოს კანონმდებლობასთან მიმართებითაც ნათლად გაიმეორა ის თეზისები, რაც განხილულ გადაწყვეტილებებში არაერთხელ აქვს აღნიშნული და საქართველო კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევაში დაადანაშაულა. განმცხადებლები ევროპული სასამართლოს წინაშე ასაჩივრებდნენ იმ ფაქტს, რომ თბოელექტროსადგური იწვევდა ხმაურს და ატმოსფეროში გამოჰყოფდა სხვადასხვა ტოქსიკურ ნივთიერებას, რომელიც საფრთხეს უქმნიდა მათ ჯანმრთელობას და უარყოფითად ზემოქმედებდა მათ საცხოვრებელ გარემოზე. ევროპულმა სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში აღნიშნა:

„იმ შემთხვევაშიც, თუ დავუშვებთ, რომ ჰაერის დაბინძურებას არ გამოუწვევია განმცხადებლების ჯანმრთელობის არსებითი დაზიანება, ისინი, სულ მცირე, გახდნენ მოწყვლადები სხვადასხვა დაავადების მიმართ. ეჭვგარეშეა, რომ ამან უარყოფითად იმოქმედა მათი ცხოვრების ხარისხზე საკუთარ სახლში. განმცხადებელთა უფლებებში ჩარევამ საკმარის ხარისხს მიაღწია იმისათვის, რომ მოექცეს კონვენციის მე-8 მუხლის დაცვის ფარგლებში. ამ საქმის მთავარი არსი არის თბოელექტროსადგურის საშიშროების შემცველი საქმიანობის მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩოს არარსებობა და ამის შედეგად, ჰაერის დაბინძურების პრობლემის მოუგვარებლობა ხელისუფლების მიერ.

სახელმწიფოებს აქვთ ვალდებულება, საშიშ საქმიანობებთან დაკავშირებით, მათი სპეციფიკური მახასიათებლებისა და შესაძლო რისკების დონის გათვალისწინებით, მიიღონ შესაბამისი რეგულაციები; კერძოდ, უნდა იყოს მოწესრიგებული ლიცენზიების გაცემა, სადგურის მოწყობა, ფუნქციონირება, უსაფრთხოება და საქმიანობის ზედამხედველობა. რეგულაციები სავალდებულო უნდა იყოს ყველა შესაბამისი სუბიექტისთვის, რათა მათ მიიღონ ზომები იმ პირთა დასაცავად, რომლებიც, შესაძლოა, საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ. განსახილველ საქმეში ასეთი საკანონმდებლო მოწესრიგების არარსებობამ გამოიწვია თბოელექტროსადგურის ფუნქციონირება საჭირო უსაფრთხოების ნორმების დაცვის გარეშე.

არსებული მდგომარეობა კიდევ უფრო გაამწვავა მთავრობის პასიურმა დამოკიდებულებამ მცხოვრებლების პრობლემის მიმართ. სადავო მდგომარეობა მოვლენათა უეცარი განვითარების შედეგი არ ყოფილა, არამედ წარმოადგენდა დიდი ხნის განმავლობაში არსებული პრობლემით გამოწვეულ ვითარებას, რომელიც ცნობილი იყო შესაბამისი უწყებებისთვის; თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ თბოელექტროსადგურს დაევალა შესაბამისი ფილტრებისა და გამწმენდი მოწყობილობების დამონტაჟება, რათა შემცირებულიყო ჰაერში გამოყოფილი ტოქსიკური ნივთიერებების ზემოქმედება კორპუსის მცხოვრებლებზე, აღნიშნული მოთხოვნის შესრულების კონტროლის მიზნით კომპეტენტურ უწყებებს არასოდეს მიუღიათ ეფექტიანი ზომა.

იმის მიუხედავად, რომ ეროვნულ ხელისუფლებას გააჩნია თავისუფალი შეფასების არეალი გარემოს დაცვის საკითხებში, ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხე სახელმწიფომ ვერ მოახერხა სამართლიანი ბალანსის დაცვა საზოგადოების ინტერესსა - რომ ჰქონოდათ მოქმედი თბოელექტროსადგური - და განმცხადებელთა მიერ საკუთარი საცხოვრებელითა და პირადი ცხოვრების უფლებით სარგებლობას შორის".

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით ანალიზით შედეგად, შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ჭიათურაში წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია ისე გაიცა, რომ არ მოხდა დაგეგმილი საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასება. მოსახლეობის მოთხოვნისა და მითითების მიუხედავად, დღემდე ვერ მოხერხდა სათანადო ღონისძიებების გატარება, რაც შეამცირებდა მადნის მოპოვებისას გარემოზე ზემოქმედებას.

სახელმწიფო მმართველის დანიშვნამ არათუ გამოასწორა, არამედ გააუარესა მდგომარეობა - მასობრივად დაიწყო ღია კარიერული წესით მოპოვება და აღნიშნული საქმიანობა ხორციელდება უშუალოდ საცხოვრებელი სახლების ეზოებში, სადაც მოსახლეობა ცხოვრებას აგრძელებს მოპოვებითი სამუშაოების წარმოების განმავლობაში და მისი დასრულების შემდეგ. ღია კარიერული წესით მადნის მოპოვების დაწყებამდე არ ხორციელდება სათანადო კვლევა, რა გავლენას მოახდენს აღნიშნული საქმიანობა მოსახლეობაზე, ასევე, არ ხდება მოსახლეობის და გარემოს სათანადო რეაბილიტაცია/კომპენსაცია.

იმის გათვალისწინებით, რომ მადნის ღია კარიერული წესით მოპოვება იწვევს ხმაურს, ვიბრაციას, ჰაერის, წყლის, ნიადაგის დაბინძურებას და აღნიშნულის შესახებ მოსახლეობას სათანადო ინფორმაცია არ მიეწოდება (არც სამუშაოების დაწყებამდე და არც შემდგომ), ნათელია, რომ საქართველოს კანონმდებლობის უხეშ დარღვევასთან ერთად, ადგილი აქვს ადამიანის უფლებათა საყოველთაო კონვენციის მე-2 მე-8, მე-9, მე-10 მუხლების დარღვევას.

3. გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა და ინფორმირებულობა

ადმინისტრაციულმა ორგანომ დაარღვია: „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ" კონვენციის პირველი, მესამე და მეექვსე მუხლების მოთხოვნა, როდესაც მიიღო გადაწყვეტილებები ჭიათურის მანგანუმის საბადოზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემისა და გაცემულ ლიცენზიაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.

კერძოდ: „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ" კონვენციის 1-ლი მუხლის თანახმად, „იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას ახლანდელი და მომავალი თაობების ყოველი ადამიანის უფლება იცხოვროს საკუთარი ჯანმრთელობის და კეთილდღეობისათვის შესაფერის გარემოში, ამ კონვენციის დებულების შესაბამისად ყველა მხარე იძლევა საზოგადოებისათვის გარემოსდაცვითი ინფორმაციის და მასთან დაკავშირებულ მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მათი მონაწილეობის უფლების გარანტიას".

კონვენციის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „ყოველი მხარე ეცდება უზრუნველყოს, რომ ოფიციალურმა პირებმა და ხელისუფლების ორგანოებმა წარმართონ და ხელი შეუწყონ საზოგადოებას, რათა მათთვის ხელმისაწვდომი გახადონ გარემოსდაცვითი ინფორმაცია, გაუადვილონ გარემოს დაცვის სფეროში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობა და ხელმისაწვდომი გახადონ სამართალწარმოება“; ხოლო იმავე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, „წინამდებარე კონვენციის შესაბამისი დებულებების ფარგლებში საზოგადოებას ექნება გარემოსდაცვითი ინფორმაციის და მართლმსაჯულების საკითხების მოპოვების და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობა მიუხედავად მისი მოქალაქეობისა, ეროვნებისა და საცხოვრებელი ადგილისა, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, სად არის რეგისტრირებული მათი სამყოფელი ან სად ეწევიან ფაქტიურ საქმიანობას“.

კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად, „1. თითოეული მხარე:

ა) I დანართში ჩამოთვლილი შემოთავაზებული საქმიანობის ნებართვაზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში გამოიყენებს წინამდებარე მუხლის დებულებებს;
ბ) საკუთარი ეროვნული კანონმდებლობის ჩარჩოებში აგრეთვე გამოიყენებს წინამდებარე მუხლის დებულებებს იმ შემოთავაზებულ საქმიანობებში, რომლებიც არ არის ჩამოთვლილი I დანართში, თუმცა შეუძლიათ მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინონ გარემოზე.

2. ვინაიდან დაგეგმილ საქმიანობას შეუძლია მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინოს გარემოზე და საქმიანობა შედის კონვენციის I დანართით გათვალისწინებული საქმიანობის ჩამონათვალში დაინტერესებული საზოგადოება ადეკვატურად, დროულად და ეფექტურად უნდა იყოს ინფორმირებული საზოგადოებრივი თუ ინდივიდუალური შეტყობინების მეშვეობით (გარემოებათა გათვალისწინებით) გარემოს დაცვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესის საწყის ეტაპზე. მათ შორისაა შემდეგი საკითხები:

ა) შემოთავაზებული საქმიანობა და განაცხადი, რომელზეც იქნება მიღებული გადაწყვეტილება;
ბ) შესაძლებელი გადაწყვეტილებების ხასიათი ან გადაწყვეტილების პროექტი;
ც) ხელისუფლების ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია გადაწყვეტილების მიღებაზე;
დ) გათვალისწინებული პროცედურა იმის ჩათვლით თუ როდის და როგორ იქნება ეს ინფორმაცია მოწოდებული:

I) პროცედურის განხორციელების დაწყება;
II) საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობანი;
III) ნებისმიერი წინასწარ დაგეგმილი სახალხო მოსმენის დრო და ადგილი;
IV) მითითება ხელისუფლების ორგანოდან, საიდანაც სათანადო ინფორმაციის მიღებაა შესაძლებელი და სადაც ეს ინფორმაცია იგზავნება საზოგადოებისათვის განსახილველად;
V) შესაბამისი ხელისუფლების ორგანოს ან ნებისმიერი სხვა სახელმწიფო უწყების მითითება, რომელსაც შესაძლებელია გაეგზავნოს შენიშვნები, კითხვები და მათი წარდგენის განრიგი;
VI) მითითება იმის შესახებ თუ შემოთავაზებულ საქმიანობასთან დაკავშირებული რომელი გარემოსდაცვითი ინფორმაცია არის ხელმისაწვდომი;

ე) ფაქტი, რომ საქმიანობა ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასების ეროვნულ თუ ტრანსსასაზღვრო პროცედურას.“

ჭიათურის მანგანუმის საბადოზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება სრულად შეესაბამება კონვენციის I დანართის მე-16 პუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას - „მაღაროები და კარიერები, სადაც ღია წესით მოპოვების ადგილის ზედაპირი აღემატება 25 ჰექტარს ან მიწისქვეშა მოპოვება, სადაც სამთო-სამუშაოების გავლენის ზონა აღემატება 150 ჰექტარს“ – ლიცენზიის ფართობი 16 430.7 ჰექტარია („წიაღის მოპოვების ლიცენზიანტების პროფილები“, მწვანე ალტერნატივა, ივლისი, 2019). შესაბამისად, საზოგადოებისათვის ცნობილი უნდა გამხდარიყო დაგეგმილი საქმიანობის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე შესაძლო ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია; ასევე, უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო გადაწყვეტილების მიღების პროცესში, კონვენციით ნათლად განსაზღვრული პროცედურის დაცვით, საზოგადოების მონაწილეობა. კონვენციის არცერთი ეს მოთხოვნა შესრულებული არ ყოფილა.

კონვენციის ამავე მუხლის თანახმად, ყოველი მხარე ვალდებულია შესაბამისი პროცედურის მიხედვით დაუყონებლივ აცნობოს საზოგადოებას ხელისუფლების ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ. ყველა მხარე ვალდებულია ნება დართოს საზოგადოებას, გაეცნოს გადაწყვეტილების ტექსტს, იმ მიზეზებისა და შეხედულებების ჩათვლით, რომელსაც გადაწყვეტილება დაეყრდნო.

მიღებული გადაწყვეტილებები არ გამხდარა საზოგადოებისათვის ცნობილი. მეტიც, 2006 წელს შპს „ჯორჯიან მანგანეზზე“ ლიცენზია ისე გაიცა, რომ მოსახლეობა არც ინფორმირებული ყოფილა და არც შესაბამის პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობა ჰქონიათ. ამის ნათელი მაგალითია ეს საჩივარიც. აღნიშნული დღემდე გრძელდება, მიუხედავად გურამ გაფრინდაშვილის მოთხოვნისა, მიეღო ლიცენზიის გაცემის დოკუმენტი და მასთან დაკავშირებული სათანადო ინფორმაცია, უფლებამოსილი ორგანოს მხრიდან დოკუმენტაცია დღემდე არ გადმოგვცემია, რაც, ამ ეტაპზე, არ გვაძლევს შესაძლებლობას, საჩივარი და მოთხოვნა უფრო დეტალურად ჩამოვაყალიბოთ.

4. ადმინისტრაციული კანონმდებლობის დარღვევა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 პრიმა მუხლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს, ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადებისა ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემა ამავე კოდექსის 32-ე და 34-ე მუხლებით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახის დარღვევით, ან/და კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საქმეზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება. ამდენად, უნდა შეფასდეს, რამდენად დაცულია აქტის გამოცემის ფორმალური და მატერიალური კანონიერება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლი ადმინისტრაციულ ორგანოებს უკრძალავს კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ რაიმე ქმედების განხორციელებას და იქვე განსაზღვრავს, რომ უფლებამოსილებით გადამეტებულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებულ ქმედებას არა აქვს იურიდიული ძალა და ბათილად უნდა გამოცხადდეს.

ადმინისტრაციულმა ორგანომ ისე გასცა ლიცენზია, რომ არ გამოიკვლია არცერთი მნიშვნელოვანი საკითხი. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ლიცენზიის გაცემისას არ გამოკვლეულა და შეფასებულა, თუ რა გავლენას მოახდენდა უშუალოდ დასახლებულ სოფლებში წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე. ლიცენზიის საფუძველზე, შპს „ჯორჯიან მანგანეზი“ უშუალოდ დასახლებებში ისე მოიპოვებს წიაღს, რომ არ ესაჭიროება კვლევა და შეფასება, რა გავლენას მოახდენს ღია კარიერი უშუალოდ დასახლებულ პუნქტსა და მოსახლეობაზე, რაც მთავარია, ასეთ პროცესში კომპანიას არ ესაჭიროება სოფლის თოთოეული მოსახლის თანხმობა - მათთვის საკმარისია მხოლოდ იმ პიროვნების თანხმობა, რომლის საცხოვრებელ ეზოშიც ხდება მადნის მოპოვება.

ყოველგვარი რეგულაციებისა და კვლევების გარეშე ღია კარიერული წესით მადნის მოპოვება ახდენს ჰაერის, წყლის, ნიადაგის დაბინძურებას და ადგილობრივი მოსახლეობისთვის ქმნის საფრთხეს (მათ შორის, შემდგომი უგზოობა და ღრმულ-ორმოები), რაც გარემოსდაცვითი და ადმინისტრაციული კანონმდებლობის დარღვევასთან ერთად, სისხლის სამართლის დანაშაულსაც წარმოადგენს.

გვინდა აღვნიშნოთ, რომ გასაჩივრებული ლიცენზიით ილახება საქართველოს კონსტიტუციით ჩვენთვის მონიჭებული ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში ცხოვრებისა და ბუნებრივი გარემოთი თავისუფლად სარგებლობის უფლებები, ვინაიდან გადაწყვეტილებები მიღებული იქნა გარემოსათვის ზიანის მიყენების რისკების წინასწარი შეფასებისა და მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილების და/ან შემსუბუქებისათვის ღონისძიებების დაგეგმვის გარეშე. გაცემული ლიცენზიით ჯანსაღ გარემოში ცხოვრებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესი ჩვენი მონაწილეობისა და ჩვენი უფლების უგულებელყოფით წარიმართა. ამავდროულად, ამ ლიცენზიის წინასწარი შეფასების გარეშე მიღებით, სახელმწიფომ უგულებელყო ახლანდელი და მომავალი თაობების წინაშე გარემოს დაცვასა და ბუნებრივი რესურსებით რაციონალური სარგებლობის უზრუნველყოფის შესახებ მისი ვალდებულება. შესაბამისად, ჩვენი ადმინისტრაციული სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს.

2. სასარჩელო მოთხოვნა

1. სასარჩელო მოთხოვნა

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები, მათ შორის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმების ნორმები და მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტები:

მტკიცებითი შუამდგომლობები

SeniSvna-20

მოწმე	ფაქტობრივი გარემოება(ები)
ექსპერტი	ფაქტობრივი გარემოება(ები)
სპეციალისტი	ფაქტობრივი გარემოება(ები)

SeniSvna-21

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე:

1.

SeniSvna-22

შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე.

1. გთხოვთ, გამოითხოვოთ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან და სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოდან - შპს „ჯორჯიან მანგანეზზე“ გაცემული - სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია და მასთან (ლიცენზიის გაცემასთან და სარგებლობასთან) დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების მასალები და გადმოგვცეთ.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ელი მუხლის მე-2 ნაწილისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 134 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „წერილობით მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები. თუ მხარემ ვერ შეძლო წერილობით მტკიცებულებათა მიღება იმ პირისაგან, ვისთანაც ეს მტკიცებულებები იმყოფება, მას შეუძლია იშუამდგომლოს სასამართლოს წინაშე, რათა სასამართლომ გამოითხოვოს ისინი“.

მოცემულ შემთხვევაში, ჩვენ არაერთხელ მოვითხოვეთ მოპასუხეებისგან აღნიშნული დოკუმენტაციის გადმოცემა (2023 წლის 26 ივლის N111 განცხადებით; 2023 წლის 7 დეკემბრის N147-ე ადმინისტრაციული საჩივრით და 2024 წლის 08 იანვრის N02 დაზუსტებული ადმინისტრაციული საჩივრით). მიუხედავად ჩვენი მოთხოვნებისა, ადმინისტრაციული ორგანოები უარს აცხადებენ და არ გვაწვდიან მოთხოვნილ დოკუმენტაციას, რაც ხელს გვიშლის სარჩელში ასახული ფაქტობრივი გარემოებების სათანადოდ ჩამოყალიბებასა და მტკიცებულებებით გამყარებაში. ასევე, ხელი გვეშლება სასარჩელო მოთხოვნის სრულფასოვნად ჩამოყალიბებაში.

ის, რომ მოთხოვნილი დოკუმენტაცია დაცულია მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოებში, აღნიშნული არ წარმოადგენს სადავო გარემოებას. სამინისტრო და სააგენტო მიზანმიმართულად არ გვაწვდიან მოთხოვნილ ინფორმაციას, იმ მიზნით, რომ ხელი შეგვიშალონ და დააბრკოლონ ჩვენი სამართლებრივი დავა.

SeniSvna-23

სხვა სახის შუამდგომლობები

SeniSvna-24

1. მოთხოვნა

გთხოვთ, მოგვცეთ შესაძლებლობა დავაზუსტოთ ჩვენი სასარჩელო განაცხადი, მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე დაყენებული შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში და მოთხოვნილი ინფორმაციის გადმოცემის შემდგომ.

2. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

დაგჭირდებათ თუ არა თქვენ ან/და დასაბარებელ პირს თარჯიმანი საქმის ზეპირი განხილვისას?			
დიახ	☐	ვის?	რომელი ენის მცოდნე?
არა	☒		

სარჩელის ფასი *SeniSvna-25*	—	არაქონებრივი ლარი
სახელმწიფო ბაჟი *SeniSvna-26*	—	100 ლარი

სახელმწიფო ბაჟის გადახდის წესი
სახელმწიფო ბაჟი შეიტანება სახელმწიფო ბიუჯეტში, ხაზინის ერთიან ანგარიშზე:
ბანკის კოდი: TRESGE22
ანგარიშის №: 200122900 (იხ. სახაზინო კოდები)

1. ხომ არ გათავისუფლებთ კანონი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან?	დიახ ☐ არა ☒
რომელი ნორმა?	
მტკიცებულება:	
2. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებას?	დიახ ☐ არა ☒
რის საფუძველზე?	
მტკიცებულება:	
3. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შემცირებას?	დიახ ☐ არა ☒
რის საფუძველზე?	
მტკიცებულება:	
4. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებას?	დიახ ☐ არა ☒
რის საფუძველზე?	
მტკიცებულება:	

შუამდგომლობა პროცესის სხვა (სასამართლო ან სასამართლოსგარეშე) ხარჯების თაობაზე:
5.

SeniSvna-27

გამოიყენეთ თუ არა, სასამართლოსთვის მომართვამდე, ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობა?

დიახ	☒	მტკიცებულება: 2023 წლის N147 ადმინისტრაციული საჩივარი და 2024 წლის 08 იანვრის N02 დაზუსტებული ადმინისტრაციული საჩივარი.
არა	☐	რადგან

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის.
სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.
მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია:
» რთულადგანჭვრეტადი შედეგი;
» ხანგრძლივი სასამართლო პროცესი;
» სასამართლო ხარჯები;
» სასამართლოსგარეშე ხარჯები;
» ყოველდღიური ხარჯები.

თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?

დიახ	☒	მორიგების პირობები: თუ მოხდება ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რაც გამორიცხავს (აკრძალავს) მოსარჩელის საცხოვრებელი სახლის მიმდებარედ და გონივრულ მანძილზე, მადნის ღია კარიერული წესით მოპოვებას.
არა	☐	რადგან

SemiSvna-28

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე?

დიახ	☐	
არა	☒	პროცესზე უკეთ წარმოვაჩენთ ჩვენს პოზიციას.

SeniSvna-29

რა დრო დაგჭირდებათ მთავარ სხდომაზე თქვენი პოზიციის დასაბუთებისათვის?

15 წუთი რადგან

რამდენ სხდომაში მიგაჩნიათ გონივრულად დავის განხილვის დასრულება?

I სხდომაში რადგან

SeniSvna-30

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს დაჩქარებული წესით?

დიახ	☒	
არა	☐	რადგან

SeniSvna-31

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას?

ძირითად მისამართზე	დროის ოპტიმალური შუალედი:	14:00 – 18:00

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?

დიახ	☒	
არა	☐	რადგან

SeniSvna-32

თანდართული საბუთების ნუსხა

SeniSvna-33 SeniSvna-34

დანართი 1: განცხადება (წერილი) N111 (26.07.2023) – 1 გვერდად;
დანართი 2: მიმოწერა სახელმწიფო უწყებასთან (გაგზავნის დასტური) N CA00412309965342 – 1 გვერდად;
დანართი 3: ადმინისტრაციული საჩივარი (წერილი N147) (07.12.2023) – 19 გვერდად;
დანართი 4: საქართველოს მთავრობის წერილი N GOV 3 23 00037930 (15.12.2023) – 1 გვერდად;
დანართი 5: უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე # ბს-1040(კ-21) – 1 გვერდად;
დანართი 6: განცხადება N01 (08.01.2024) – 3 გვერდად;
დანართი 7: ადმინისტრაციული საჩივარი (წერილი N02) (08.01.2024) – 20 გვერდად;
დანართი 8: ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წერილი N04/341 (23.01.2024) – 2 გვერდად;
დანართი 9: „სახელმძღვანელო მანგანუმის მოპოვების ზემოქმედების ქვეშ მყოფი მოსახლეობისათვის“, მწვანე ალტერნატივა (2010) – 18 გვერდი;

დანართი 10: „გარემოს ტყვიით დაბინძურების შეფასება საქართველოში“ საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის მოკვლევის ანგარიში, (2020). – 5 გვერდად;
დანართი 11. საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს N04/11930 წერილი (22.12.2023) – 2 გვერდად;
დანართი 12: მინდობილობა/რწმუნებულება - 3 გვერდად;
დანართი 13: ამონაწერი არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურდიულ პირთა რეესტრიდან - 2 გვერდად ;
დანართი 14: სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითარი - 1 გვერდად.
ფურცლების საერთო რაოდენობა: 109

სარჩელის ფორმალური გამართულობა

ამ ფორმის შევსებით თქვენ და სასამართლოს მისაღების მოხელე ამოწმებთ სარჩელის ფორმალურ და (არა შინაარსობრივ) მხარეს. გაითვალისწინეთ, რომ ნებისმიერი პირობის დაუცველობა შესაძლოა გახდეს თქვენს სარჩელზე ხარვეზის დადგენისა და შემდგომში მის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი.

		დიახ	არა
1.	მითითებულია იმ სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეგაქვთ სარჩელი.	☐	☐
2.	მითითებულია თქვენი (მოსარჩელის), თქვენი (მოსარჩელის) წარმომადგენლის და მოპასუხის სახელი, გვარი (სახელწოდება), პირადი (საიდენტიფიკაციო) ნომერი და ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი).	☐	☐
3.	მითითებულია თქვენი (მოსარჩელის), თქვენი (მოსარჩელის) წარმომადგენლის და მოპასუხის ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი.	☐	☐
4.	მითითებულია სხდომაზე დასაბარებელი პირის სახელი, გვარი, ძირითადი მისამართი, ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი. მითითებულია საკონტაქტო პირის მონაცემები.	☐	☐
5.	მითითებულია დავის საგანი.	☐	☐
6.	მითითებულია სარჩელის ფასი.	☐	☐
7.	მითითებულია თქვენი (სასარჩელო) მოთხოვნა.	☐	☐
8.	მითითებულია სარჩელისათვის თანდართული საბუთების ნუსხა.	☐	☐
9.	სარჩელს ერთვის თანდართული საბუთების ნუსხაში მითითებული ყველა დოკუმენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მტკიცებულებების წარმოუდგენლობა საპატიო მიზეზითაა გამართლებული.	☐	☐
10.	სარჩელს ერთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ან წარმოდგენილია შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი ოდენობის შემცირების ან გადახდის გადავადების თაობაზე.	☐	☐
11.	მითითებულია თქვენი მოსაზრება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე.	☐	☐
12.	სარჩელს ერთვის წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (თუ სარჩელი შეაქვს წარმომადგენელს).	☐	☐
13.	სარჩელი ხელმოწერილია.	☐	☐
14.	სარჩელი და თანდართული დოკუმენტები წარმოდგენილია იმდენი ასლით, რამდენიც მოპასუხეა.	☐	☐

მხოლოდ სასამართლო მოხმარებისათვის

სარჩელი ფორმალურად გამართულია:	სარჩელი ფორმალურად არაა გამართულია:	*ხელმოწერა*	*სახელი და გვარი*
☐	☐ *პუნქტების ჩამოწერა*		

გთხოვთ, გაითვალისწინოთ!
სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე _ თქვენ გეკისრებათ როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. საქმის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას და რომელი მტკიცებულებით დაადასტურებთ მათ ანუ წარმატებას განაპირობებს თქვენი პროფესიონალიზმი და თქვენს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

	გელა მთივლიშვილი	20/02/2024 წ.
ხელმოწერა	ხელმომწერის სახელი და გვარი	შევსების თარიღი

შევსებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 18:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.